



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 028/14 გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე კაკიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატი პროფესიულ მომსახურებას უწევდა სისხლის სამართლის საქმეზე საჩივრის ავტორის მეუღლეს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას არაერთი ქმედება განახორციელა კლიენტის ინტერესების დასაცავად, რა დროსაც, საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განახორციელა არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობა, კერძოდ: ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, არასწორი ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს, შეპირების მიუხედავად არ განახორციელა კლიენტის ინტერესების დასაცავად გარკვეული მოქმედებები, დაკარგა საქმის მასალები, მოტყუებით განახორციელა გარკვეული მოქმედებები. მხარეთა შორის 2013 წლის თებერვალში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ადვოკატს ევალებოდა საჩივრის ავტორის მეუღლისთვის იურიდიული მომსახურება გაეწია, ადვოკატმა ანაზღაურებისათვის პირველ ეტაპზე მოითხოვა 2000 (ორი ათასი) ლარის თანხა და საჩივრის ავტორს განუცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაგზავნა საქმეს გააჭიანურებდა. საქმისთვის მნიშვნელოვანი იყო დაზარალებულს მიეცა ხელახალი ჩვენება, რათა ახალდადმოცენილი გარემოებების გამო საქმე სააპელაციო სასამართლოს განეხილა ასევე მნიშვნელოვანი იყო საჩივრის ავტორის ყოფილი ადვოკატის მიმართ ეთიკის კომისიაში დაწყებული განხილვა, რათა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთვის მიმართვა საჩივრის ვადის აღსადგენად. ადვოკატის სამართლებრივი ქმედებების შედეგად გაშვებული ვადა აღდგა.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედება შეაფასა კეთილსინდისიერების პრინციპისა და კლიენტის ინტერესების უპირატესად დაცვის პრინციპის ფარგლებში. ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. საპროცესო კოლეგია გაითვალისწინა საქმეში ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებები და განმარტა, რომ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ საჩივრის ავტორს მტკიცებულება არ წარმოუდგენია. საპროცესო კოლეგიამ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ადვოკატმა დააიმედა, რომ დარღვევებით წარმართული მისი მეუღლის საქმე სწორად განიხილებოდა და გამოტანილი იქნებოდა გამამართლებელი განაჩენი.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა აპკ-ის 8.5 მუხლის საფუძველზე.

¹ <https://gba.ge/pdf/5c506aed5894c.pdf/5c506aed5894c.pdf>